მაგდალაში რუსული სასულიერო მისიის მეტოქში ტაძრის დღესასწაული აღნიშნეს

2021 წლის 4 აგვისტოს, მოციქულთა სწორი წმინდა მარიამ მაგდალინელის ხსენების დღეს, რუსული სასულიერო მისიის მეტოქში, მაგდალაში, ტაძრის დღესასწაული აღნიშნეს.

წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის უნეტარესი პატრიარქის თეოფილეს ლოცვა-კურთხევით დღესასწაულის დღეს სრულიად გალილეის ეგზარქოსმა, ნაზარეთის მიტროპოლიტმა კირიაკმა საღვთო ლიტურგია აღავლინა. მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას თანამწირველობდნენ იერუსალიმში რუსული სასულიერო მისიის ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ალექსანდრე (ელისოვი), რუსული სასულიერო მისიის მეტოქის მეკლიტე თელ-ავივსა და იაფოში დეკანოზი იგორ პჩელნიცევი, ქალაქ მიგდალ-ჰაემეკის წმინდა ნიკოლოზ მირონ-ლუკიელი საკვირველთმოქმედის ტაძრის წინამძღვარი არქიმანდრიტი სერაფიმე (იერუსალიმის საპატრიარქო) და მისიის ხაზინადარი მღვდელმონაზონი ათანასე (ბუკინი).

ლიტურგიაზე ლოცულობდნენ აინ კერემის გორენის დედათა მონასტრის იღუმენია ეკატერინე (ჩერნიშევა) დებთან ერთად, რუსული სასულიერო მისიის მეკლიტე ხაიფაში დეკანოზი მიროსლავ ვიტივი, მისიის მდივანი იღუმენი ნიკონ (გოლოვკო), თათარისტანის სამიტროპოლიტოს კლირიკოსი მღვდელმონაზონი პავლე (კუზნეცოვი), კაპერნაუმში 12 მოციქულის სახელობის მონასტრის წინამძღვარი მონაზონი ირინარხი (მიტკასი), იერიქონში რუსული მუზეუმ-პარკის კომპლექსის დირექტორი რ. ვ. დიკანსკი, ისრაელში რუსეთის საელჩოს თანამშრომლები, ტიბერიისა და ნაზარეთის ქრისტიანული სამრევლოების წევრები.

ღვთისმსახურებაზე, რომელიც შესრულდა საეკლესიო-სლავურ, ბერძნულ და არაბულ ენებზე, გორენის მონასტრის დები გუნდი გალობდა.

ლიტურგიის განტევების შემდეგ სამღვდელოებამ ტაძრის ირგვლივ ჯვრით მსვლელობა და თაყვანსაცემ ჯვართან მეტოქის გარდაცვლილ მშრომელთა და კეთილისმყოფელთათვის ლიტანია ჩაატარა. შემდეგ არქიმანდრიტმა ალექსანდრემ წმინდა მოციქულთა სწორი მარიამ მაგდალინელის მიმართ ლოცვა წაიკითხა.

ღვთისმსახურების დასრულებისას გორენის მონასტრის დების ძალისხმევით, რომლებიც მეტოქში მორჩილებას აღასრულებენ, დღესასწაულის ყველა სტუმრისთვის ტრაპეზი იქნა შეთავაზებული.

რუსული სასულიერო მისიის პრეს-სამსახური

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87848/